სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 მარტი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/57

„2026-2027 სასწავლო წელს ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში სწავლის დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 10 მარტის №01-02/51 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2026 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №04-10/3 ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, აჭარის ა.რ. განათლებისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის პროფესიული და უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსის 2026 წლის 16 მარტის №313836 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „2026-2027 სასწავლო წელს ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში სწავლის დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 10 მარტის №01-02/51 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის „დ“ და „მ“ ქვეპუნქტები **ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, შემდეგი შინაარსით:**

„დ) თამარ დუნდუა - ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი - კომისიის მდივანი;“

„მ) დარინა მსხალაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.“.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს და კომისიის წევრებს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე